არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 9 ივნისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ტატო ურჯუმელაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე;
ბ) დავით მარღანია - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციის დამუშავების, ანალიზისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი;
დ) სოფიკო ბერიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ე) ანა გაგნიძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი.

დღის წესრიგი:

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 24 მაისს გამოცხადებული #80 კონკურსის შედეგების განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა კონსტანტინე გუგეშაშვილმა მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2011 წლის 24 მაისს და მთავრდებოდა 2011 წლის 6 ივნისს. აღნიშნული დროის განმავლობაში არც ერთ კონკურსანტს არ წარმოუდგენია საკონკურო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული კონკურსი არ შედგა.

კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
კომისიის წევრი:	დავით მარღანია
კომისიის წევრი:	კონსტანტინე გუგეშაშვილი
კომისიის წევრი:	სოფიკო ბერიშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე